



ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაცია



საქართველო 2019-2020 წლის საერთაშორისო რეიტინგებში

ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაცია

2020 წელი

მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული და გამოქვეყნებული საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური რეიტინგები ემსახურება მონაწილე ქვეყნების ცალკეული სფეროების შეფასებას და როგორც მოწინავე სფეროების, ასევე ქვეყნების ეკონომიკაში არსებული სისუსტეების გამოვლენას ისახავს მიზნად. დამკვიდრებული მიდგომის მიხედვით, უცხოელი ინვესტორები, სწორედ მსგავსი ტიპის საერთაშორისო ავტორიტეტული რეიტინგების შედეგების საფუძველზე იღებენ უცხო ქვეყანაში ბიზნესის დაწყების და ოპერირების საინვესტიციო გადაწყვეტილებებს.

ქვემდებარე დოკუმენტში განხილულია 2020-2019 წელს გამოქვეყნებულ საერთაშორისო ანგარიშებსა და რეიტინგებში საქართველოს შეფასებები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ქვეყნის ეკონომიკურ, საინვესტიციო და საფინანსო ინდიკატორებზე.

დოკუმენტში განხილულია შემდეგი საერთაშორისო რეიტინგები, წინა წლებთან მიმართებაში:

- *ბიზნესის კეთების 2020 წლის ინდექსი*
- *გლობალური კონკურენტუნარიანობის 2019 წლის ინდექსი*
- *ეკონომიკური თავისუფლების 2019 წლის ინდექსი*
- *კორუფციის აღქმის 2019 წლის ინდექსი*

1. ბიზნესის კეთების 2020 წლის ინდექსი

მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული ბიზნესის კეთების ინდექსი (Doing Business Ranking), იმ სახელმწიფო რეგულაციების შეფასებას წარმოადგენს, რომელიც როგორც ხელს უწყობს ბიზნესის ოპერირებას, ასევე აფერხებს მას. ინდექსის წარმოება მსოფლიო ბანკმა 2003 წლიდან დაიწყო და აფასებს 190 ქვეყანაში ბიზნეს დაწყებისა და მართვის სიმარტივეს.

ბიზნესის კეთების 2020 წლის ინდექსის მიხედვით, საქართველომ მეექვსე ადგილიდან ერთი პოზიციით უკან გადაინაცვლა და 83,7 ქულით მე-7 ადგილზე ჩამოქვეითდა.

საქართველოს, ინდექსში ახალი ზელანდია, სინგაპური, ჰონკონგი, დანია, სამხრეთ კორეა და ამერიკის შეერთებული შტატები უსწრებენ.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს, ბიზნესის კეთების გასამარტივებლად და ხელშესაწყობად საქართველოს მთავრობამ მხოლოდ ერთადერთი რეფორმა გაატარა. კერძოდ, გაზარდა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რის შედეგადაც გაუმჯობესდა მშენებლობების ხარისხის კონტროლი. ბიზნესის დაწყების და ოპერირების წახალისების რეფორმების სიმრავლით სამეზობლო ქვეყნებში გამოირჩეოდნენ აზერბაიჯანი და სომხეთი, რომელთაც გასულ წელს ბიზნესის კეთების გამარტივების მიზნით 4-4 რეფორმა გაატარეს.

სახელმწიფოს მხრიდან, ბიზნესის ხელშემწყობი პოლიტიკისა და რეფორმების სტაგნაცია, 2020 წლის რეიტინგის ცალკეულ ინდიკატორებში, ქვეყნის პოზიციურ უკუსვლაშიც გამოიხატა. კერძოდ, საქართველომ რეიტინგის 12 ინდიკატორიდან 7 მათგანში უკანა პოზიციებზე გადაინაცვლა (იხ. ცხრილი).

ინდიკატორებს შორის, ყველაზე დაბალი შეფასება და შესაბამისად რეიტინგში დაბალი პოზიცია გვიკავია გადახდისუუნარობაში. აღნიშნული მაჩვენებლით, საქართველო 64-ე ადგილს იკავებს 56,2 ქულით. მსოფლიო ბანკის შეფასებით, პრობლემას წარმოადგენს არაეფექტიანი სახელმწიფო რეგულაციები, რომლის მიხედვითაც, გადახდისუუნარობის დეკლარირების პროცესს საქართველოში ორი წელი სჭირდება და დავალიანების ამოღების მაჩვენებელიც დაბალია.

შემდეგ პრობლემურ საკითხად რჩება ელექტროენერგიით მომარაგება (42-ე ადგილი), სადაც ქვეყნის რეიტინგი წინა წლების მაჩვენებელთან შედარებით გაუარესებულია. რეიტინგში დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია პროცესის ხანგრძლივობით და მისი მაღალი ხარჯებით (ითვლება მშპ ერთ სულ მოსახლეზე მიმართებაში).

საქართველოს ყველაზე მაღალი შეფასება ბიზნესის დაწყების ინდიკატორში აქვს და 99,6 ქულით მსოფლიოში მე-2 ადგილს იკავებს. აღნიშნული მიღწევა კი განპირობებულია მხოლოდ პროცედურული სიმარტივით, კერძოდ ბიზნესის 2 დღეში რეგისტრაციის შესაძლებლობით, მინიმალური აუცილებელი თანხების გარეშე.

რეიტინგში მოწინავე პოზიციები საკუთრების რეგისტრაციის (92,9 ქულით მე- 5 ადგილი) მიხედვითაც უკავია საქართველოს. აღსანიშნავია, რომ რეგისტრაციის პარალელურად, ინდექსი არ ანალიზებს საკუთრების დაცულობის მაჩვენებელს და კანონის უზენაესობას. ამ მხრივ, სხვა ინდექსების (ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი) მიხედვით ჩვენი ქვეყანა არ იკავებს წამყვან პოზიციებს, სადაც დაცული და განმტკიცებულია საკუთრების უფლება.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის კეთების ინდექსი ითვალისწინებს მხოლოდ ბიუროკრატიული პროცესების სიმარტივეს და არ ანალიზებს ბიზნესის კეთებაზე მოქმედ სხვა კომპლექსურ ფაქტორებს, მაგალითად ისეთი ფაქტორების ზეგავლენას როგორცაა საკუთრების უფლების დაცულობა, კორუფციის დონე, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, პოლიტიკური ზეგავლენები და სხვა. აღნიშნულ ინდექსში მოწინავე პოზიციაზე ყოფნა ერთი მხრივ წარმოადგენს ქვეყნის მზაობას, პროცედურული სიმარტივის თაობაზე, მაგრამ ამავდროულად ინდექსი არ იძლევა სრულყოფილ შეფასებას ქვეყნის საინვესტიციო გარემოს შესახებ.

ცხრილში წარმოდგენილია თითოეულ ინდიკატორში ქვეყნის პოზიცია 2018-2020 წლებში, რის საფუძველზეც იკვეთება საქართველოში ყველაზე წარმატებული და პრობლემური დარგები.

ინდიკატორი	2018 (პოზიცია)		2019 (პოზიცია)		2020 (პოზიცია)
ბიზნესის დაწყება	4	↑	2		2
მშენებლობის ნებართვა	29	↑	27	↑	21
ელ.ენერგიით მომარაგება	30	↓	39	↓	42
საკუთრების რეგისტრაცია	4		4	↓	5
კრედიტის მიღება	12	↑	12	↓	15
მცირე ინვესტორთა დაცვა	2		2	↓	7
გადასახადების გადახდა	22	↑	16	↑	14
ვაჭრობა საზღვრებს შორის	62	↑	43	↓	45
კონტრაქტების აღსრულება	7	↓	8	↓	12
გადახდის უუნარობა	57	↓	60	↓	64

წყარო: Doing Business, 2020 (WB)

2. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2019 წლის ინდექსი

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიში (The Global Competitiveness Report) წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ მიმოხილვას, რომელიც 2004 წლიდან ეყრდნობა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსს. აღნიშნული ინდექსი ზომავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, სახელმწიფო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიურ მზაობას, კომპლექსური შეფასების გზით.

ინდექსი, ქვეყნების შეფასებას ახდენს 4 ძირითადი მიმართულების მიხედვით, რომელიც აერთიანებს 12 ძირითად მაჩვენებლს, რომელიც თავის მხრივ ჩაშლილია 98 კომპონენტად.

ხელსაყრელი გარემო	1. ინსტიტუტები; 2. ინფრასტრუქტურა; 3. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისება; 4. მაკროეკონომიკური სტაბილურობა
ადამიანური კაპიტალი	5. ჯანდაცვა ; 6. უნარები
ბაზარი	7. სასაქონლო ბაზარი; 8. შრომის ბაზარი; 9. ფინანსური სისტემა; 10. ბაზრის მოცულობა
ინოვაციური ეკოსისტემა	11. ბიზნესის დინამიურობა ; 12. ინოვაციური შესაძლებლობები

წყარო: Global Competitiveness Report 2019

2019 წელს, საქართველომ კონკურენტუნარიანობის ინდექსში გაიუარესა პოზიცია და 66-ედან (2018 წ) 74-ე ადგილზე გადაინაცვლა, ჯამური 61 ქულით. საქართველოს, აღნიშნულ ინდექსში ჩამორჩება მეზობელ ქვეყნებსაც; რეიტინგში აზერბაიჯანი იკავებს 58-ე ადგილს, თურქეთი 61-ე ხოლო სომხეთი 69-ე ადგილს. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ინდექსის მიხედვით, რეგიონში განსხვავებული მდგომარეობა იყო და საქართველო რეიტინგში უსწრებდა როგორც აზერბაიჯანს (69-ე ადგილი) ასევე სომხეთს (70-ე ადგილი).

2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოსათვის განხილული 12 მიმართულებიდან ყველაზე პრობლემატურ საკითხებს წარმოადგენს ბაზრის მოცულობა (104-ე ადგილი), ინოვაციური შესაძლებლობები (91-ე ადგილი), ფინანსური სისტემა (91 ადგილი), ჯანდაცვა (87-ე ადგილი) და მაკროეკონომიკური სტაბილურობა (84-ე ადგილი).

აღსანიშნავია, რომ 2018 წელთან შედარებით, 2019 წელს ქვეყნის პოზიციური წინსვლა არ დაფიქსირებულა არცერთი მიმართულებით. თორმეტივე ინდიკატორში პოზიციურად საქართველომ გადაინაცვლა უკან. განსაკუთრებით მკვეთრი ვარდნა იყო მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიმართულებით, სადაც 12 პოზიციით უკან დაიხია საქართველომ და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისებით, სადაც საქართველომ 45-ე ადგილიდან 55-ე ადგილას გადაინაცვლა.

საქართველოს შეფასება კონკურენტუნარიანობის ინდექსში	2018 წელი		2019 წელი		პოზიციის ცვლილება
	შეფასება	პოზიცია/140	შეფასება	პოზიცია/141	
ზოგადი შეფასება	61	66	61	74	↓ 8
I. ხელსაყრელი გარემო					
ინსტიტუტები	64.0	40	61,0	43	↓ 3
ინფრასტრუქტურა	66.7	72	67,6	73	↓ 1
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისება	64.8	45	63,7	55	↓ 10
მაკროეკონომიკური სტაბილურობა	74.5	72	74,4	84	↓ 12
II. ადამიანური კაპიტალი					
ჯანდაცვა	78.2	80	74,4	87	↓ 7
უნარები	68.9	45	69,8	46	↓ 1
III. ბაზარი					
სასაქონლო ბაზარი	61.0	42	58,4	48	↓ 6
შრომის ბაზარი	65.6	31	65,3	37	↓ 6
ფინანსური სისტემა	54.1	88	56,2	91	↓ 3
ბაზრის მოცულობა	40.9	102	41,6	104	↓ 2
IV. ინოვაციური ეკოსისტემა					
ბიზნესის დინამიურობა	62.1	53	62,2	58	↓ 5
ინოვაციური შესაძლებლობები	32.7	85	32,7	91	↓ 6

წყარო: Global Competitiveness Report 2019

ინდექსის ქვე-კომპონენტებს შეფასების მიხედვით იკვეთება შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები: ინტელექტუალური საკუთრების დაცვა (94-ე ადგილი), ინფლაცია (99-ე ადგილი), ვალის დინამიკა (92-ე ადგილი), სამუშაო ძალის უნარები (125-ე ადგილი), ბაზრის კაპიტალიზაცია (119-ე ადგილი), ინოვაციური კომპანიების ზრდა (108-ე ადგილი) და სხვა.

3. ეკონომიკური თავისუფლების 2019 წლის ინდექსი

ამერიკის შეერთებული შტატების, ერთ-ერთი ყველაზე დიდი კვლევითი ორგანიზაციის- Heritage Foundation-ის 1995 წელს შექმნილი, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (Index of Economic Freedom) ყოველწლიურად იკვლევს 180 ქვეყანას და განსაზღვრავს მათი თავისუფლების დონეს.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ქვეყნის შეფასებას 12 ინდიკატორის მიხედვით ახორციელებს, რომელიც დაყოფილია 4 ძირითად კატეგორიად: კანონის უზენაესობა, მთავრობის მოცულობა, რეგულაციების ეფექტიანობა და ბაზრის ღიაობა.

ეკონომიკური თავისუფლების ას ქულიანი შკალა დაყოფილია ეკონომიკური თავისუფლების 5 დონედ და შედეგების შედარების მიზნით თითოეულ დონეს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულათა რაოდენობა

თავისუფალი	უმეტესწილად თავისუფალი	ზომიერად თავისუფალი	უმეტესწილად არათავისუფალი	არათავისუფალი
100-80 ქულა	79,9-70 ქულა	69,9-60 ქულა	59,9-50 ქულა	49,9-40 ქულა
6 ქვეყანა	29 ქვეყანა	59 ქვეყანა	64 ქვეყანა	22 ქვეყანა
ჰონგკონგი, სინგაპური, ახალი ზელანდია, შვეიცარია, ავსტრალია, ირლანდია	ესტონეთი, საქართველო, ლიტვა, ლატვია, ჩეხეთი, გერმანია, ნორვეგია, მაკედონია და სხვა	პოლონეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უნგრეთი, სლოვენია, თურქეთი, ხორვატია და სხვა	მოლდოვა, რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა და სხვა	კუბა, ვენესუელა, ბოლივია, სიერა ლეონე და სხვა

საქართველო, 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, ჯამური შეფასების კლების მიუხედავად, კვლავ მე-16 პოზიციაზეა (75,9 ქულით) და ადგილს იკავებს „უმეტესწილად თავისუფალი“ ქვეყნების რიგში. 2018 წელსაც, საქართველო რეიტინგში მე-16 ადგილს იკავებდა 76,2 ქულით. აღნიშნული მონაცემები მცირედით გაუარესებულია 2017 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, როდესაც ქვეყანა მე-13 პოზიციაზე იყო (76 ქულით).

ქვეყნის საერთო, ჯამური შეფასების კლება გამოწვეულია სასამართლოს ეფექტიანობის, მთავრობის სამართლიანობისა და მონეტარული თავისუფლების ინდიკატორების მკვეთრი გაუარესებით.

ანგარიშის მიხედვით, ქვეყნის მთავარ გამოწვევად სასამართლოს ეფექტიანობა სახელდება, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში მუდმივ რეგრესს განიცდის. კერძოდ, ანგარიშის მიხედვით, სასამართლოს ეფექტიანობა, მხოლოდ გასულ წელთან შედარებით, შემცირდა 9,6 პუნქტით და 54,6 ქულით „უმეტესწილად არათავისუფალი“ ქვეყნების რიგში მოიპოვა ადგილი.





ინდექსის მიხედვით, ასევე მკვეთრად შემცირდა მთავრობის სამართლიანობის მაჩვენებელიც - 2018 წელთან მიმართებით, 3,3 პუნქტით, ხოლო 2017 წელთან შედარებით 10,4 ქულით. აღნიშნულ ინდიკატორშიც, საქართველოს რეიტინგი „უმეტესწილად თავისუფალიდან“ შეიცვალა „უმეტესწილად არათავისუფალით“.

აღნიშნული მაჩვენებლების კლების მთავარ მიზეზს, ანგარიშის მიხედვით, სასამართლოზე პოლიტიკური ზეწოლა და სახელმწიფო მოხელეებს შორის კორუფციის მაღალი დონე სახელდება.

ანგარიშის მიხედვით, ქვეყანაში შემცირებულია მონეტარული თავისუფლება (3,6 პუნქტით), რაც გამოწვეულია ფასების არასტაბილურობითა და ინფლაციის გაზრდილი მაჩვენებლით. ასევე, შეფასების კლებას აქვს ადგილი ბიზნესის თავისუფლების (-1,1 პუნქტით), შრომის თავისუფლების (-0,7 პუნქტით) და ვაჭრობის თავისუფლების (-0,8 პუნქტით) კუთხითაც.

აღსანიშნავია, ფინანსური თავისუფლების კუთხით ქვეყნის მაჩვენებლის გაუმჯობესება, რითაც ჯამური 70 ქულით, საქართველომ ადგილი დაიკავა „უმეტესწილად თავისუფალი“ ქვეყნების რიგში. ამის მიუხედავად, ბაზრის ღიაობის მაჩვენებელში მთავარ გამოწვევად რჩება უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე წვდომა და საფონდო ბირჟის განუვითარებლობა.

2019 წლის ინდექსის მიხედვით, ქვეყანაში ასევე მცირედით გაუმჯობესდა საკუთრების უფლების ინდიკატორიც (3,3 ქულა) და 65,9 ქულით ადგილი დაიკავა „ზომიერად თავისუფალი“ ქვეყნების რიგებში, მაგრამ კვლავ მკვეთრად ჩამოვრჩებით ევროპის საშუალო მაჩვენებელს. მცირედით, მაგრამ ასევე გაუმჯობესდა საქართველოს მაჩვენებლები ფისკალური სიჯანსაღის, მთავრობის დანახარჯების და გადასახადების ტვირთის მიმართულებითაც.



წყარო: 2019 Index of Economic Freedom


4. კორუფციის აღქმის 2019 წლის ინდექსი

კორუფციის აღქმის ინდექსი (Corruption Perception Index) წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაცია, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ შემუშავებულ მაჩვენებელს, რომელიც ზომავს კორუფციის აღქმის დონეს საჯარო სექტორში და ეყრდნობა ბიზნესის და ექსპერტების შეფასებებს. რეიტინგში 100 ქულა კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალ, ხოლო 0 ქულა ყველაზე მაღალ დონეს აღნიშნავს.

ყოველწლიური ანგარიშის მიზანს, 180 სახელმწიფოში კორუფციის აღქმის დონის დადგენასა და ქვეყნების რეიტინგში რანგირებასთან ერთად, კორუფციის მიზეზების შესაძლო წყაროების დადგენა და ქვეყნებისათვის მისი აღმოფხვრის გზების შეთავაზება წარმოადგენს.

2019 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, (გამოქვეყნებული 2020 წელს) საქართველოში კორუფციის აღქმის მხრივ მდგომარეობა გაუარესებულია, რაც გამოიხატა როგორც ჯამური ქულების კლებით, ასევე პოზიციურად რეიტინგში ჩამოქვეითებით. კერძოდ, საქართველოს შეფასება, გასულ წელთან შედარებით 2 ქულით გაუარესდა და 56 ქულა შეადგინა. საქართველომ აღნიშნული ქულათა ჯამით, რეიტინგში 41 ადგილიდან, 3 პოზიციით უკან დაიხია და 44-ე ადგილი მოიპოვა, კოსტა-რიკას, ჩეხეთსა და ლატვიასთან ერთად.

პროგრესის თვალსაზრისით, აღსანიშნავია მეზობელი ქვეყნების შედეგები. საქართველოსგან განსხვავებით, 2019 წელს აზერბაიჯანმა და სომხეთმა გაიუმჯობესეს მაჩვენებლები, შესაბამისად 7 და 5 ქულით.



როგორც ანგარიშშია აღნიშნული, საქართველო კორუფციის აღქმის თვალსაზრისით ლიდერია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ, ეს რეგიონი ბოლოდან მეორე ადგილს იკავებს მსოფლიოში საშუალო 35 ქულით (აფრიკის შემდეგ).

უკანასკნელ წლებში, ინდექსში საქართველოს მინიჭებული ქულების მხრივ აქვს პროგრესის ნაკლებობა, რაც კორუფციის პრობლემის შესაძლო ზრდასა და სახელმწიფოს მხრიდან ანტიკორუფციული რეფორმების არაეფექტიანობაზე /გაუმჯობესების ნაკლებობაზე მიუთითებს.

ანგარიშის მიხედვით, ქვეყნისათვის კვლავ გამოწვევად რჩება დამოუკიდებელი, ანტიკორუფციული საგამოძიებო სამსახურის არარსებობა, სახელმწიფოს მხრიდან სასამართლოზე ზეწოლა, გამოხატული პოლიტიკური ზეგავლენებითა და კორუფციული ქმედებებით.

დასკვნა

2019-2020 წლის საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით, საქართველოს წელი პოზიციური უკუსვლა და ზოგიერთ სფეროებში განცდილი მაღალი რეგრესი, საფრთხეს უქმნის, როგორც ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო იმიჯს, ასევე ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას. საერთაშორისო შეფასებების მიხედვით, საქართველოსათვის ძირითად გამოწვევად რჩება მაკროეკონომიკური გარემოს ნაკლები სტაბილურობა, ქვეყანაში არსებულ მაღალი ინფლაცია, კანონის უზენაესობის დაბალი დონე, სამართლიანი სასამართლოს არ ქონა, მაღალი დონის კორუფცია, ინფრასტრუქტურულ გამოწვევები და ინოვაციური განვითარების დაბალი მაჩვენებლები.

შესაბამისად, სახელმწიფოსთვის, საჯარო პოლიტიკის შემუშავებისას, კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულებებით რეფორმების გატარება და რესურსების მიმართვა ქვეყნის ეკონომიკური და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, რაც უზრუნველყოფს როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე თითოეული მოქალაქის ინდივიდუალურ კეთილდღეობას.

„ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაცია“

© ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია

ავტორი : ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსი : ანა გოგოლაძე